

„ დამტკიცებულია“
აკადემიური საბჭოს მიერ
დადგენილება №68
(ოქმი №14, 25.12.2013)
აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული
გეგმა

2014-2019

სარჩევი

I. პრემბულა	3
II. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია	4
III. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზანი და ამოცანები	4
1. უნივერსიტეტის სასწავლო, სამეცნიერო, ინოვაციური და მმართველობითი საქმიანობის ძირითადი მიზნებია :	6
2. უნივერსიტეტის ძირითადი ამოცანებია:.....	6
IV. უნივერსიტეტის სტრუქტურა	8
V. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის ძირითადი პრიორიტეტები	10

I. პრეამბულა

1990 წელს სამცხე-ჯავახეთში დაარსდა პირველი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება-თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალი. 1991 წელს ფილიალის ბაზაზე დაფუძნდა „ახალციხის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი“, რომელიც 1995 წელს თსუ ახალციხის ფილიალს შეუერთდა, როგორც ფასიანი სწავლების განყოფილება

2002 წელს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალს ეწოდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესხეთის ფილიალი

2007 წელს მთავრობის 161 დადგენილებით თსუ მესხეთის ფილიალის ბაზაზე დაფუძნდა დამოუკიდებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება – სსიპ ახალციხის ინსტიტუტი

2007 წელს სსიპ ახალციხის ინსტიტუტმა გაიარა ინსტიტუციური აკრედიტაცია – მოიპოვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ლიცენზია

2009 წელს მთავრობის 183 დადგენილებით სსიპ ახალციხის ინსტიტუტს მიენიჭა სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსი და ეწოდა სსიპ ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

2011 წლის 14 დეკემბრის მთავრობის 476 დადგენილებით სსიპ ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელდა რეორგანიზაცია და ჩამოყალიბდა მისი უფლებამონაცვლე - ა(ა)იპ ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

2012 წლის 3 ოქტომბერს მთავრობის 416 დადგენილებით განხორციელდა რეორგანიზაცია - ა(ა)იპ ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისა და ახალქალაქის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება-კოლეჯის ბაზაზე ჩამოყალიბდა ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

2013 წლის 30 ივლისის საქართველოს მთავრობის №194 დადგენილებით ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი რეორგანიზებულ იქნა სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტად.

2014 წლის 24 თებერვლის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს №8 გადაწყვეტილებით სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს მიენიჭა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი).

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში უნივერსიტეტი) წარმოადგენს მრავალფუნქციურ უმაღლეს სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებას, რომელშიც სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა თანამშრომლობით შექმნილია უმაღლესი აკადემიური განათლების, პროფესიული სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის ერთიანი სივრცე.

უნივერსიტეტი ხარისხის მართვის ეფექტური სისტემის გამოყენებით, სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვით უზრუნველყოფს სტუდენტთა აკადემიური და პროფესიული უმაღლესი განათლების მაღალ ხარისხსა და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულების გამოშვებას.

სტუდენტები, მასწავლებლები და პროფესორები თავისუფალი არიან აირჩიონ კვლევისა და სწავლის სფეროები და მიმართულებები, თანამშრომლები და ხელმძღვანელები, ასევე თავისუფალი არიან აირჩიონ უნივერსიტეტის მართვის ნებისმიერი ფორმა, რომელიც სრულყოფილად უზრუნველყოფს სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.

უნივერსიტეტი მხარს უჭერს ევროპული განათლებისა და კვალიფიკაციის დანერგვის ინიციატივებსა და ღონისძიებებს, აქტიურად მონაწილეობს ბოლონის პროცესში და ხელმძღვანელობს ევროპული უნივერსიტეტების შესახებ დიდი ქარტიის პრინციპით.

[უკან](#)

II. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია

უნივერსიტეტის მისიაა:

- საკაცობრიო და ეროვნული ღირებულებების დაცვისა და განმტკიცების საფუძველზე პროფესიულად განსწავლული, მაღალზნეობრივი, კვალიფიციური სპეციალისტების აღზრდა;
- მეცნიერების ფუნდამენტური საკითხების კვლევებით, სწავლებისა და კვლევის თანამედროვე მეთოდების დანერგვით, ხარისხის მართვის ეფექტური სისტემის გამოყენებით, მუდმივ განახლებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების საფუძველზე საქართველოს მუდმივად ცვალებადი შრომითი ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი კონტიგენტის მომზადება;
- სტუდენტების, მასწავლებლების და პროფესორებისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა, რაც პირველ რიგში გულისხმობს სრულ აკადემიურ თავისუფლებას;
- ბოლონის პროცესის ძირითადი პრინციპის დანერგვით და განათლების ხარისხის გაუმჯობესებით უმაღლესი განათლების ერთიან ევროპულ სივრცეში ინტეგრაციის, სტუდენტების და პროფესორ-მასწავლებლების მაქსიმალური მობილობის ხელშეწყობა.
- უნივერსიტეტის სტრატეგიის მთავარი ორიენტირია:

- საქართველოს და სამცხე-ჯავახეთის რეგიონის პრობლემატიკის კვლევები;

- რეგიონის არაქართულენოვანი მოსახლეობის ქართულ საზოგადოებაში

ინტეგრირების ხელშეწყობა.

II. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზანი და ამოცანები

უნივერსიტეტის მიზნია –

- 1 თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე, საქართველოს შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება;
- 2 – თანამედროვე საგანმანათლებლო აკადემიური პროგრამების განხორციელება პროფესიულ, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე;
- 3 – პროფესორების და სტუდენტების აკადემიური თავისუფლება;
- 4 – მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლისა და უწყვეტი განათლების პრინციპების დანერგვა;
- 5 – სტუდენტებისათვის სწავლის, კვლევისა და განვითარებისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა;
- 6 – სამცხე-ჯავახეთის რეგიონთან მაქსიმალური ინტეგრირების გზით ძირითადი სტრატეგიული მიზნის განხორციელება –

ახალციხესა და ახალქალაქში საუნივერსიტეტო ქალაქის შექმნა

1. უნივერსიტეტის სასწავლო, სამეცნიერო, ინოვაციური და მმართველობითი საქმიანობის ძირითადი

მიზნებია:

სასწავლო-საგანმათლებლო სფეროში: საზოგადოებისა და სახელმწიფო მოთხოვნების დაკმაყოფილება უმაღლესი განათლების მექანიზმების მეშვეობით სპეციალისტებისა და სამეცნიერო-პედაგოგიურ კადრებზე, რომლებიც აქტიურად შეუწყობენ ხელს საქართველოში ეკონომიკურ ზრდას, ბუნებრივი გარემოს დაცვასა და გონივრულ გამოყენებას, საზოგადოებრივი ცხოვრების დონის ამაღლებას;

სამეცნიერო სფეროში: საქართველოში ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერების განვითარება, სპეციალისტებისა და უმაღლესი კვალიფიკაციის სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების ეფექტიანი ამაღლება;

ინოვაციურ საქმიანობაში: უნივერსიტეტში მეცნიერებისა და განათლების სფეროში აუცილებელი პირობების შექმნა სამეცნიერო და საგანმათლებლო საქმიანობის უახლესი მიღწევების დანერგვისა და ეფექტიანი გამოყენებითვის;

მმართველობით სფეროში: საგანმათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ორგანიზაციულ-ეკონომიკური და საფინანსო საქმიანობის სრულყოფისათვის ხარისხის საყოველთაო მართვის პრინციპების გათვალისწინება, მართვის სისტემის დამუშავება თანამედროვე სტანდარტებზე დაყრდნობით.

2. უნივერსიტეტის ძირითადი ამოცანებია:

სასწავლო-საგანმათლებლო სფეროში:

- სამეცნიერო კვლევაზე ორიენტირებული უმაღლესი აკადემიური განათლების მექანიზმების – მაგისტრებისა და დოქტორანტების მომზადება;
- პრაქტიკული ხასიათის საქმიანობაზე ორიენტირებული უმაღლესი აკადემიური განათლების მექანიზმების – ბაკალავრების მომზადება;
- პროფესიული განათლების სისტემის ხელშეწყობა თანამედროვე სტანდარტების პროფესიული პროგრამების განხორციელებით;
- უმაღლესი კვალიფიკაციის სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადება, უნივერსიტეტის პედაგოგიური შემადგენლობის, პერსონალის პროფესიული განვითარება;
- უწყვეტი განათლების პრინციპების დანერგვა;

- სტუდენტ ახალგაზრდობაში სამოქალაქო პოზიციის, თანამედროვე ცივილიზაციისა და დემოკრატიის პირობებში შრომისა და ცხოვრების უნარის ფორმირება;
- სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო – კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობა, სტუდენტთა და პროფესორთა მობილობის ხელის შეწყობა;
- საქართველოს და უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების განხორციელება;
- უცხოელი სტუდენტების მოსაზიდად უნივერსიტეტში ხელშემწყობი გარემოს შექმნა;
- მაღალტექნოლოგიური სასწავლო ბაზის შექმნა და დისტანციური სწავლების დანერგვა.

სამეცნიერო სფეროში:

- სასწავლო პროცესთან სამეცნიერო საქმიანობის მჭიდრო კავშირის უზრუნველყოფა;
- უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების ჩაზმა სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებში;
- უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის საორგანიზაციო, მეთოდური და საინფორმაციო უზრუნველყოფა;
- ერთობლივი ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო-საგანმანათლებლო ასოციაციებისა და კავშირების შექმნა;
- საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო გრანტების მოსაპოვებლად საინფორმაციო უზრუნველყოფა.

ინოვაციურ საქმიანობაში:

- მეცნიერებისა და განათლების სფეროში ინოვაციური საქმიანობის სტრუქტურისა და ინფრასტრუქტურის განვითარება და სრულყოფა, სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროცესების ორგანიზაციისა და მართვის ინოვაციური პრინციპების დამუშავება და დანერგვა;
- უნივერსიტეტის სტრატეგიულ პარტნიორებთან –სასწავლო-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-საგანმანათლებლო პროფილის დაწესებულებებთან გრძელვადიანი თანამშრომლობის ორგანიზება და უზრუნველყოფა;
- უნივერსიტეტის კადრების მომზადება ინოვაციური საქმიანობისათვის;
- პერსპექტიული კვლევების დაფინანსება შიდასაიუნივერსიტეტო გრანტების სისტემის გამოყენებით და უცხოური და რესპუბლიკური სამეცნიერო გრანტებით.

მმართველობით სფეროში:

- უნივერსიტეტის სტრუქტურის ოპტიმიზაცია;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოდერნიზება მართვის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად;

- უნივერსიტეტის საქმიანობის ძირითადი სახეობების დაფინანსებისათვის სახსრების მოზიდვის და რაციონალური გამოყენების ეფექტიანი სისტემის შექმნა;
- თანამშრომელთა და სტუდენტთა მონაწილეობის უზრუნველყოფა გადაწყვეტილების მიღებისა და მათი შესრულების კონტროლის პროცესში;
- მართვისა და კონკურსების საჯაროობის და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;
- თანამშრომელთა და სტუდენტთა სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვა, სპორტისა და ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა;
- საგანმანათლებლო მომსახურებისა და სპეციალისტების მომზადების ხარისხის ამაღლება თანამედროვე მოთხოვნების დონეზე;
- განათლების ხარისხის მართვის სისტემის სრულყოფა საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.

[უკან](#)


IV. უნივერსიტეტის სტრუქტურა

უნივერსიტეტი ორიენტირებულია მოთხოვნების შესაბამისად სტრუქტურის განახლება-ოპტიმიზაციაზე. უნივერსიტეტში ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების—ფაკულტეტების რაოდენობა არ არის შეზღუდული არც კანონმდებლობით და არც უნივერსიტეტის წესდებით. უნივერსიტეტში ფაკულტეტების რაოდენობა განისაზღვრება იმის შესაბამისად, თუ როგორი ადამიანური და მატერიალური რესურსი გააჩნია უნივერსიტეტს და როგორია მოთხოვნა საქართველოს და სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სამომხმარებლო ბაზარზე.

დღეისათვის უნივერსიტეტში არის ოთხი ფაკულტეტი:

- განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა;
- ბიზნესის ადმინისტრირება;
- იურიდიული;
- ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციული სტრუქტურა წარმოგვიდგება შემდეგი სახით:



V. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის ძირითადი პრიორიტეტები და აქტივობები 2014-2019 წწ.

2014 წ.

- უნივერსიტეტის სტატუსის მოსაპოვებლად ავტორიზაციისა და აკრედიტაციის გავლის უზრუნველყოფა
- დოქტურანტურის გახსნა და უმაღლესი განათლების სამსაფეხურიან სისტემაზე გადასვლა
- ავტორიზაციის გავლის შემდეგ უნივერსიტეტის სტრუქტურის რეორგანიზაცია
- საქართველოს და რეგიონის შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლა და ანალიზი
- სწავლების ხარისხის ამაღლება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად
- ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა
- სწავლებისა და კვლევის უახლესი მეთოდების დანერგვა
- სტუდენტების მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში
- უცხოელი სტუდენტების მოზიდვისა და გაცვლითი პროგრამების განხორციელების მიზნით უცხო ენების სწავლების გაუმჯობესებაზე ზრუნვა
- სტუდენტთა სტიმულირება საუნივერსიტეტო, რეგიონალურ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად
- სტუდენტთა საუნივერსიტეტო და არასაუნივერსიტეტო პროექტებში მონაწილეობის სტიმულირება
- სტუდენტთა კარიერული ზრდის ხელშეწყობის მიზნით სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრის შექმნა
- აკადემიური პერსონალის განახლება–მოზიდვის მიზნით კონკურსის ჩატარება
- სასწავლო პროცესის მართვის ავტომატიზებული სისტემის სრულყოფა
- უნივერსიტეტის სამეცნიერო ინტერნეტ - ჟურნალის დაარსება
- საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაზე გადასვლა
- გამოცდების ცენტრის სტრუქტურის სრულყოფა
- უწყვეტი განათლების ცენტრის შექმნა
- უნივერსიტეტის საგამომცემლო საქმიანობის სრულყოფა
- საგამოცდო ცენტრის გამოცდების კომპიუტერული პროგრამის ბაზაში შეტანილი ტესტების გადამუშავება, პროგრამაში ახალი საგამოცდო მასალის შეტანა
- საგამოცდო ცენტრის მიერ საგამოცდო პროცესის სრულყოფილად წარმართვა(შუალედური და დასკვნითი გამოცდები სამივე საფეხურზე)
- დისტანციური სწავლების დანერგვისათვის ღონისძიებების გატარება
- სამეცნიერო ბიბლიოთეკის ფონდის(წიგნადი და ელექტრონული რესურსების) განახლება.
- უნივერსიტეტის მატერიალური ბაზის სრულყოფა(ახალქალაქში საერთო საცხოვრებლის რეაბილიტაცია)
- უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის სამეცნიერო-კვლევითი გრანტის მოპოვების მიზნით კონკურსის გამოცხადება

- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარება
- სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის ჩატარება
- უნივერსიტეტის საერთაშორისო კავშირების გაფართოება
- სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის მონიტორინგი

2015 წ.

- საქართველოს და რეგიონის შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლა და ანალიზი
- სწავლების ხარისხის ამაღლება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად
- ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა
- სწავლებისა და კვლევის უახლესი მეთოდების დანერგვა
- სტუდენტების მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში
- უცხოელი სტუდენტების მოზიდვისა და გაცვლითი პროგრამების განხორციელების მიზნით უცხო ენების სწავლების გაუმჯობესებაზე ზრუნვა
- სტუდენტთა სტიმულირება საუნივერსიტეტო, რეგიონალურ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად
- სტუდენტთა საუნივერსიტეტო და არასაუნივერსიტეტო პროექტებში მონაწილეობის სტიმულირება
- აკადემიური პერსონალის განახლება–მოზიდვის მიზნით კონკურსის ჩატარება
- სასწავლო პროცესის მართვის ავტომატიზებული სისტემის სრულყოფა
- უნივერსიტეტის სამეცნიერო ინტერნეტ ჟურნალის შემდგომი ინტერნაციონალიზაციის მიზნით ღონისძიებების გატარება
- უნივერსიტეტის საგამომცემლო საქმიანობის სრულყოფა
- დისტანციური სწავლების დანერგვისათვის ღონისძიებების გატარება
- სამეცნიერო ბიბლიოთეკის ფონდის(წიგნადი და ელექტრონული რესურსების) განახლება
- უნივერსიტეტის მატერიალური ბაზის სრულყოფა
- რეგიონის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ინტეგრირების მიზნით ღონისძიებების გატარება
- უნივერსიტეტის საერთაშორისო კავშირების გაფართოება
- სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის მონიტორინგი

2016 წ.

- შრომის ბაზრის კვლევა
- საგანმანათლებლო პროგრამების მოდერნიზაცია
- პროფესორ–მასწავლებელთა და სტუდენტთა აკადემიური თავისუფლების რეალიზებისათვის სასწავლო პროცესის სრულყოფა
- სწავლებისა და კვლევის უახლესი მეთოდების დანერგვის მიზნით ხარისხის მართვის სისტემის გაუმჯობესება
- პროფესორ–მასწავლებელთა თემატური სამეცნიერო კონფერენციების ჩატარება

- სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის ჩატარება
- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარება
- უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის სამეცნიერო-კვლევითი გრანტის მოპოვების მიზნით კონკურსის გამოცხადება
- უნივერსიტეტის მართვის ავტომატიზირებული სისტემების სრულყოფა
- მართვის დეცენტრალიზაციის მიზნით ადმინისტრაციის სტრუქტურის ოპტიმიზაცია
- პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სტიმულირების ფორმების დანერგვა
- ადმინისტრაციული პერსონალის ატესტაცია
- უცხოელი სტუდენტების რაოდენობის გაზრდა
- საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესებაზე ზრუნვა
- დისტანციური სწავლების დანერგვისათვის მატერიალური ბაზის სრულყოფა
- სამეცნიერო ბიბლიოთეკის ფონდის(წიგნადი და ელექტრონული რესურსების) განახლება.
- საგანმანათლებლო და სამეცნიერო მიზნებით საქართველოს და საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან კავშირების გაფართოება
- უნივერსიტეტის მატერიალური ბაზის სრულყოფა
- უნივერსიტეტის საერთაშორისო კავშირების გაფართოება
- სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის მონიტორინგი

2017 წ.

- შრომის ბაზრის კვლევა
- საგანმანათლებლო პროგრამების მოდერნიზაცია, ახალი პროგრამების შემუშავება
- უცხოელი სტუდენტების რაოდენობის გაზრდისათვის ღონისძიებების გატარება
- სწავლების კომპონენტში სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის გაზრდის მიზნით სასწავლო პროცესის სრულყოფა
- საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესებაზე ზრუნვა
- დისტანციური სწავლების დანერგვისათვის სასწავლო რესურსების შესაქმნელად ღონისძიებების გატარება
- საგანმანათლებლო და სამეცნიერო მიზნებით საქართველოს და საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან ერთობილივი პროექტების განხორციელება
- პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების ჩატარება
- სამეცნიერო ბიბლიოთეკის ფონდის(წიგნადი და ელექტრონული რესურსების) განახლება
- უნივერსიტეტის მართვის ავტომატიზირებული სისტემების სრულყოფა
- უნივერსიტეტის მატერიალური ბაზის სრულყოფა
- უნივერსიტეტის საერთაშორისო კავშირების გაფართოება
- სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის მონიტორინგი

2018წ.

- შრომის ბაზრის კვლევა

- ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად პროფესიული პროგრამების მოდერნიზაცია, ახალი პროგრამების შემუშავება
- საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების მოდერნიზაცია
- დისტანციური სწავლების დანერგვისათვის შესაბამისი ღონისძიებების გატარება
- სწავლების კომპონენტში სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის გაზრდის მიზნით სასწავლო პროცესის სრულყოფა
- სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობის ხელშეწყობისათვის ღონისძიების გატარება
- პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების ჩატარება
- უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის სამეცნიერო-კვლევითი გრანტის მოპოვების მიზნით კონკურსის გამოცხადება
- უნივერსიტეტის მართვის ავტომატიზირებული სისტემების სრულყოფა
- სამეცნიერო ბიბლიოთეკის ფონდის(წიგნადი და ელექტრონული რესურსების) განახლება
- უნივერსიტეტის მატერიალური ბაზის სრულყოფა
- უნივერსიტეტის საერთაშორისო კავშირების გაფართოება
- სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის მონიტორინგი

2019 წ.

- შრომის ბაზრის კვლევა
- საგანმანათლებლო პროგრამების მოდერნიზაცია
- სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობის ხელშეწყობა
- სამეცნიერო კვლევის პრიორიტეტების განსაზღვრა, მასში ფაკულტეტების ჩართულობის გაზრდა
- შიდასაუნივერსიტეტო სამეცნიერო ფონდის შექმნა
- შიდასაუნივერსიტეტო სამეცნიერო გრანტების დაფინანსება
- საერთაშორისო რეფერირებად სამეცნიერო პერიოდიკაში გამოქვეყნების რაოდენობის გაზრდა
- პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების ჩატარება
- უნივერსიტეტის მართვის ავტომატიზირებული სისტემების სრულყოფა
- უნივერსიტეტის საერთაშორისო კავშირების გაფართოება
- სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის მონიტორინგი
- დისტანციური სწავლების დანერგვა
- სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურის განვითარება
- სამეცნიერო ინოვაციების დანერგვა
- უცხოურ უნივერსიტეტებთან და სხვა სამეცნიერო ცენტრებთან ერთობილივი საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროექტების განხორციელება
- სამეცნიერო ბიბლიოთეკის ფონდის(წიგნადი და ელექტრონული რესურსების) განახლება
- უნივერსიტეტის მატერიალური ბაზის სრულყოფა